

შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარულში
ფინანსური უწყისი
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	8
5. ძირითადი საშუალებები.....	10
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი.....	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
9. მიღებული სესხი და სხვა გრძელვადიანი ვალდებულება.....	12
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
11. ამონაგები.....	12
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	13
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13
14. პირობითი ვალდებულებები.....	13
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	14

შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3116836	2837198
	3116836	2837198
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	526782	493399
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	123250	135893
საგადასახადო აქტივი		6604
ფული და ფულის ეკვივალენტები	38047	30600
	688079	666496
სულ აქტივები	3804915	3503694
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1261592	1261592
გაუნაწილებელი მოგება	191223	315345
	1452815	1576937
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2117016	1641891
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
	2117016	1641891
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	202046	227587
მოკლევადიანი საბანკო სესხი		57279
საგადასახადო ვალდებულებები	33038	
	235084	284866
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3804915	3503694

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

გელა გამტკიცულაში



შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარულში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები		1239799	1212368
პირდაპირი ხარჯები		-478550	-596608
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		-360721	-379525
საერთო მოგება		400528	236235
მიწოდების ხარჯები		-103426	-133589
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		-449348	-433325
საოპერაციო მოგება/ზარალი		-152246	-330679
ფინანსური ხარჯი		-112143	-373202
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		142803	77742
კურსთაშორის სხვაობის ზაერალი, წმინდა		-3112	-20275
წმინდა მოგება/ზარალი		-124698	-646414
მოგების გადასახადი			
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		-124698	-646414

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

გელა გამტკიცულაში



შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასსრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	210716	961759	1172475
სხვა ცვლილება	1050876		1051452
წლის მთლიანი სრული მოგება		-646414	-646414
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1261592	315345	1577513
სხვა ცვლილება	575		
წლის მთლიანი სრული მოგება		-124698	-124698
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1261592	191223	1452815



07-17 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარში)

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი		
თანხის მიღება მყიდველისგან		1 364 101
თანხის მიღება მყიდველისგან		528 034
მომწოდებელისგან თანხის დაბრუნება		1 149
სუბსიდია		122 250
თანხის დაბრუნება ხაზინიდან		1 725
ანგარიშვალდებულის მიერ თანხის დაბრუნება		227
ზარალის ანაზღაურება		2 448
სულ შემოსავალი		2 019 931
გასავალი		0
თანამშრომელთათვის ხელფასების გადახდა		389 615
მომწოდებელთან ანგარიშსწორება		549 312
ფულადი სახსრების ანგარიშვალდებულისთვის გადაცემა		968 749
საკომისიო		4 541
ხაზინაში თანხის გადარიცხვა		186 454
საპენსიო		15 468
მყიდველისთვის თანხის დაბრუნება		4 283
სულ გასავალი		2 118 422
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		-98 491
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი		
სესხის აღება		1 078 051
სულ შემოსავალი		1 078 051
გასავალი		0
პროცენტის დაფარვა		112 145
სესხის ჯარიმის დაფარვა		41
სესხის ძირის დაფარვა		842 412
დამფუძნებლის შენატანი		0
სულ გასავალი		954 595
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		123 456
ეფექტი კურსთაშორის სხვაობიდან		
შემოსავალი		
ფულადი სახსრების გადაფასება		639
სულ შემოსავალი		639
გასავალი		0
ფულადი სახსრების გადაფასება		1285
ფულადი სახსრების კონვერტაცია		16872
სალაროებს შორის გადაადგილება		0
სულ გასავალი		18157
		0
წმინდა ეფექტი კურსთაშორის სხვაობიდან		-17518
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		7 447
ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის		30600
ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასასრულისთვის		38047

07-17 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია

შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყურძნისგან ღვინის

წარმოება და შემდგომში რეალიზაცია, ასევე, სასტუმრო, სარესტორნო და სხვა ტურისტულ აქტივობებთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 2 სასაწყოზე ფართით, რეალიზაცია ხორციელდება მაღაზიიდან, ასევე, ადგილზე (ნაფარეულში). კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2021 წელს 7 ადამიანს ხოლო 2022 წელს 65 ადამიანს შეადგენს.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის გელა გამტკიცულაშვილის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თელავის რაიონი, სოფ. ნაფარეული 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელია: გელა გამტკიცულაშვილი 50%

გია გამტკიცულაშვილი:

50%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

მპს ტყუპების სადვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად, სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

შენობა-ნაგებობები

სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)	25
მანქანა-დანადგარები და სხვა ინვენტარი	5
ტექნიკა	5
ავეჯი და ინვენტარი	5
ღვინომასალის შესანახი ჭურჭელი	20
ბიოლოგიური აქტივები	25
სატრანსპორტო საშუალებები	10

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია ღვას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

საკრედიტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია, სხვა ბიზნესების მსგავსად ღვება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და

პოლიტიკის განსაზღვრისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე

ადგენს დაწერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას.

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია

შპს ტყუპების სადვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით

განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული მოთხოვნები, რომელიც საჭიროებს გაუფასურების ანარიცხების შექმნას.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა სამაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას სესხები აღებული აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად მისაღებ დონემდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში, ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და

გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	ღვინომასალების შესანახი ჭურჭელი	ბიოლოგიური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2022	383000	1424168	98542	6097	40828	73841	196179	614543	2837198
									0
შემოსვლა		436750	4433		1873	1639		1545	446240
									0
გასვლა									0
31 დეკემბერი 2023	383000	1860918	102975	6097	42701	75480	196179	616088	3283438
									0
დაგროვილი ცვეთა									0
31 დეკემბერი 2022									0
წლის ცვეთა		64424	28839	1 220	12995	16988	16475	25663	166604
გასული აქტ.ცვეთა									0
									0
31 დეკემბერი 2023									0
									0
ნეტო საბალანსო ღირებულება									0
31 დეკემბერი 2022	383000	1424168	99963	6097	40828	73841	196179	614543	2838619
31 დეკემბერი 2023	383000	1796494	74136	4 877	29706	58492	179704	590425	3116834

გვ 10-17



შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

6 .სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მზა პროდუქცია	67326	45176
ღვინომასალა	426045	411274
ღვინის შესაფუთი მასალა	33202	36582
საწვავი	209	367
სხვა მარაგები	0	0
სულ მარაგები	526782	493399

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი	104395	115136
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი	7220	1696
სულ	111615	116832
არაფინანსური მოთხოვნები	11635	19059
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები რეზიდენტი	9457	19059
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	2178	0
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	123250	135891

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის ფაქტიურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული სალაროში	1948	1036
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	16675	2703
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	19424	26861
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	38048	12616

9. მიღებული სესხი და სხვა გრძელვადიანი ვალდებულება

მიღებული სესხი და სხვა გრძელვადიანი ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოკლევადიანი სესხი	0	57279
გრძელვადიანი სესხი	2117016	1641891
ლიზინგი	0	0
სულ მიღებული სესხები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	2117016	1699170

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი	162601	156776
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი	1448	383
პერსონალის მიმართ ვალდებულება	0	5783
სხვა	6026	0
	170075	162942
არაფინანსური ვალდებულება		
მყიდველისაგან მიღებული ავანსები		
რეზიდენტი	2623	0
არარეზიდენტი	29348	64645
სულ	31971	64645
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	202046	227587

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის ფაქტიურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო

11. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	807113	791468
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	420190	420900
სხვა	12496	
სულ ამონაგები	1239799	1212368

მპს ტყუპების სადვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	174253	156,907
ძირითადი საშუალებების ცვეთა	77237	74,789
საკონსულტაციო ხარჯები	0	36, 513
საიჯარო ქირა	0	36, 502
საგადასახადო ხარჯი	24612	20 533
საწვავის ხარჯი	16278	22, 734
რეკრუტინგის ხარჯი	6017	21, 011
სამეურნეო ხარჯები	17998	19,017
კომუნალური ხარჯები	14822	7,301
ბანკის საკომისიო	8712	7,033
სხვა საერთო ხარჯი	78433	30986
სულ საერთო და ადმ. ხარჯი	449348	433,325

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

14. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე აწარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამისი პერიოდებში.

ლივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების

მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს

განაწილებულ ღირებულებაზე, იმ პერიოდში, როდესაც ღირებულებები არის გამოცხადებული,

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

14. პირობითი ვალდებულებები(გაგრძელება)

მიუხედავად იმისა , თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალურად გადასახდელი მოგების გადასახადი,რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ უწყისში. მომავალში განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 47, 300 ლარი.

15. მწიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს საკუთარი წარმოების მარაგების რეალიზაციასა და ტურისტული საქმიანოზიდან მიღებულ შემოსავლებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. საწყობიდან და მაღაზიიდან მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ საწყობში პროდუქციის ყიდვის მომენტში და შესაბამისად კომპანია შემოსავლებს აღიარებს დროის ამ მონაკვეთში, ექსპორტით რეალიზაციის შემთხვევაში შემოსავლის აღიარება დამოკიდებულია საერთაშორისო სავაჭრო პირობებსა (incoterms) და მიღებული ავანსების კურსებზე, შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის ს. სასტუმროს მომსახურება. და სხვა ტურისტულ აქტივობებთან დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდამოებისა და გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ, თუმცა უკან დაბრუნებული პროდუქციის ხვედრითი წილი გაყიდულ მთლიან პროდუქციაში არამატერიალურია.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

მპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

15. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ფასს 9-შია წარმოდგენილი. ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დაკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (1) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და

სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (fi) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის ენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე,

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს

კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების ზის გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით,

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი მნიშვნელები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

მპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვაობა საზალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში,

ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების წეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება. მოგებასა ან ზარალში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგება ზარალის საღის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

მპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან

ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ღივიდენდები

ღივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული

მოვალეობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური უწყისის ავტორიზაციის

თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.